www.personaldata.ge

სპეციალური შეთავაზება მოტივირებული სტუდენტებისათვის

გახდი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩი!
დაიცავი პერსონალური მონაცემები!
შეიტანე შენი წვლილი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში!

ელჩების პროექტი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

2020 წელი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლე, საქართველოში 2019 წლის 10 მაისიდან ამოქმედდა. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი;
- ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი;
- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე

დანაშაულის და ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- კანონიერება;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა;
- დამოუკიდებლობა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი;
- ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- პროფესიონალიზმი;
- საიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის დაცვა.

პროექტის მიზანი

ჩვენ ვცხოვრობთ ტექნოლოგიურ ეპოქაში, რომლის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა მონაცემებია. პრაქტიკულად ყველა ჩვენი ყოველდღიური აქტივობა, რეალურ თუ ინტერნეტსივრცეში მიღებული მომსახურება, ორგანიზაციებთან კომუნიკაცია - პერსონალური მონაცემების გაზიარებას მოითხოვს. ორგანიზაციებში მუშავდება და თავს იყრის ჩვენი სახელები, პირადი ნომრები, საბანკო მონაცემები, ინფორმაცია ოჯახის, სამსახურის, შემოსავლების, ჯანმრთელობის შესახებ და სხვა. მართალია მონაცემების მიმოცვლა აუმჯობესებს კომუნიკაციას და ამარტივებს ყოველდღიურ ცხოვრებას, თუმცა ეს პროცესი შეიცავს საფრთხეებსაც და აუცილებელია წარიმართოს კანონიერად.

პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე საზოგადოების ცნობიერება საკმაოდ დაბალია. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში, სწორედ ამ მიზნით - **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მთელი საქართველოს მასშტაბით იწყებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩების“ შესარჩევ კონკურსს.**

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის პრიორიტეტულია ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და მომავალი თაობის განვითარებას, სწორედ ამ მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩებად შეირჩევიან უმაღლესი სასწავლებლების მოქმედი სტუდენტები.

ჩვენ ერთად მივაწვდით საზოგადოებას ინფორმაციას ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა:

- რა არის ჩვენი პერსონალური მონაცემები;
- რისი უფლება გვაქვს და როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები.

პროექტის უპირატესობები:

- რეგიონებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა;
- რეგიონებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის გააქტიურება;
- სამსახურის საქმიანობის შესახებ ცნობადობის ზრდა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური პროექტში მონაწილეობის მისაღებად იწვევს სტუდენტებს საქართველოს ყველა რეგიონიდან.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- იყოს უმაღლესი სასწავლებლის მოქმედი სტუდენტი;
- ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება;
- იყოს: მოტივირებული, პრეზენტაბელური, აქტიური, ორგანიზებული და ჰქონდეს ეფექტიანი კომუნიკაციის უნარი.

რა უპირატესობები ექნებათ სტუდენტებს პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში:

- შესაძლებლობა მოგეცემათ თქვენი წვლილი შეიტანოთ პერსონალური მონაცემების, ადამიანის უფლებების დაცვისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესში;
- ყველა შერჩეულ სტუდენტს გადმოგეცემათ „პერსონალური მონაცემების დაცვის ელჩის“ სერტიფიკატი;
- მონწილეობას მიიღებთ ზამთრის სკოლაში;
- ჩაგიტარდებათ სხვადასხვა თემატური ტრენინგი;
- პროექტის დასრულების შემდეგ, გადმოგეცემათ შესაბამისი რეკომენდაცია.

კანდიდატთა შერჩევის ეტაპები:

- **განაცხადების მიღება და გადარჩევა;**
  - მსურველებმა ელ. ფოსტაზე (office@stateinspector.ge) უნდა გამოგზავნონ:
    - რეზიუმე;
    - მიუთითონ მინიმუმ 1 რეკომენდატორის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია;
    - თავიანთი ხედვა, როგორ წარმოუდგენიათ ადგილზე აღნიშნული პროგრამის განხორციელება (წერილობითი ფორმით);
    - პროგრამაში მონაწილეობის მოტივაციის დასაბუთება (აუდიო - ვიდეო ჩანაწერის ფორმით).

საუკეთესო კანდიდატები გამოვლინდებიან განაცხადების გადარჩევისა და გასაუბრების გზით (გასაუბრება შესაძლოა ჩატარდეს დისტანციურად).

-

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 17 იანვარი

პროექტის კოორდინატორი და საკონტაქტო პირი: ხათუნა კვინცხაძე

ელ-ფოსტა: kkvintskhadze@stateinspector.ge

ტელ: 568 61 53 21